



## საქართველო

### თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

#### გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 46 105

22/12/2017

**„თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 ნოემბრის №46/68 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა)“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის, 24-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილების თანახმად, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად საკრებულომ გადაწყვიტა:

**მუხლი 1.** შეტანილი იქნას ცვლილება „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 ნოემბრის №46/68 განკარგულებაში და თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმა ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ.ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო